ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარღანია ლიკა

ძალადობის ფორმები დაწყებითი კლასის მოსწავლეებში

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზის და მართვის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

თბილისი, 2018

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ძალადობის ფორმების გამოვლინება დაწყებითი კლასის მოსწავლეებში. თემა აქტუალურია თავისი არსით, რადგან ყოველდღიურად სკოლებში ძალადობის უამრავ შემთხვევას ვაწყდებით, ბავშვები რასაც ხშირად სავალალო შედეგამდე მივყავართ. 21-ე საუკუნეში ბავშვების აგრესიულ ქცევას, სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ქონდეს. მოცემული კვლევა ასახავს თუ როგორი ძალადობის ფორმები არსებობს დაწყებითი კლასის მოსწავლეებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო-112 მა ადამიანმა (80 მოსწავლე და 32 მასწავლებელი) ქ. თბილისის და ქ.ზუგდიდის ოთხი საჯარო სკოლიდან. გამოყენებულ იქნა კითხვარი, მიღებული შედეგების მიხედვით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ გამოკითხული სკოლების დაწყებით კლასებში ყველაზე ხშირი ძალადობის ფორმებია დაცინვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ნივთის გადაგდება.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად ხშირია დაწყებით კლასებში ძალადობის ფორმების გამოვლენა. მასწავლებლებს რამდენად ზუსტი ინფორმაცია აქვთ ამის შესახებ. არის თუ არა განსხვავება თბილისისა და ზუგდიდის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შორის ძალადობის ფორმების გამოვლენის მიხედვით. ასევე დაგვედგინა მოსწავლე ბიჭები უფრო ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი, თუ გოგოები.

ეს კვლევა დაგვეხმარება ბავშვის აგრესიული ქცევის თავისებურების გამოვლენაში და მიღებული შედეგებით შეგვიძლია მასწავლებლებსა და მშობლებს შევთავაზოთ ქცევის მართვის ხერხები, რაც უზრუნველყოფს ქცევის კორექციას და აგრესიული ქმედებების შემცირებას.

კვლევის თემა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. მოზარდები არიან ადამიანები, რომლებსაც უფროსების დიდი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ. სამწუხაროდ ჩვენ ხშირად გვესმის სკოლაში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ. მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ რამდენიმე თვის წინ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია, რომელმაც მთელი საზოგადოება შეძრა. ახალგაზრდებმა 2 თანატოლი სასიკვდილოდ გაიმეტეს. ამას გარდა მოსწავლეებში ხშირია ჩაგვრა, დაცინვა, სიტყვიერი შეურაცყოფა და სხვა მრავალი ძალადობის ფორმის გამოვლენა. ბავშვები ხშირად გაუცნობიერებლად ერთვებიან ძალადობაში და გაუაზრებლად ხდებიან მჩაგვრელები, ან თავდაცვის ან სხვა მიზნით. ისინი შესაძლოა კარგად ვერ აცნობიერებენ რამხელა ზიანს აყენებენ თანატოლს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ვერ ახერხებენ სრულყოფილი განათლების მიღებას. ისინი განიცდიან მუდმივ შიშსა და შფოთვას. დაწყებითი კლასებიდანვე უნდა მოხდეს მოზარდებში ცნობიერების ამაღლება და იმის ჩანერგვა, რომ ძალადობა დასაგმობია. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა საქართველოს საჯარო სკოლებში რომელი ძალადობის ფორმებია ყველაზე გავრცელებული და რამდენად აქვთ ინფორმაცია მასწავლებლებს ამის შესახებ. მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის ეფექტური მუშაობით შესაძლოა მოხდეს ძალადობის ფორმების შემცირება და სკოლაში შეიქმნას უფრო მეტად მეგობრული გარემო. ეს ყველაფერი გავლენას მოახდენს ბავშვების განვითარებაზე, რაც შემდგომში უფრო მეტ ჯანსაღ, განვითარებულ და სრულყოფილ მოქალაქეს მოგვცემს.

ძირითადი საძიებო სიტყვები : ძალადობა, კონფლიქტი, სასკოლო კონფლიქტი

Annotation

In the thesis is considered the forms of violence in elementary class students. The topic is relevant in its essence, because every day we face a number of cases of violence in schools, which often leads to a disaster. In the 21st century children seem to be more aggressive and it has different reasons. This study illustrates what kind of forms of violene are between elementary class students. In this research participated -112 people (80 pupils and 32 teachers) from Tbilisi and Zugdidi four public schools. The questionnaire was used, according to the results, we can note that the most frequent forms of violence in primary schools are mockery, verbal abuse, throwing off the item.

The purpose of the study was to determine how often the forms of violence in primary classes were revealed. If teachers have the exact information about this. Is there any difference between Tbilisi and Zugdidi elementary grades? We also wanted to know boys are more often victims of violence or girls.

This study will help us to identify the peculiarities of the child's aggressive behaviors and we can offer teachers and parents the behavioral management methods that ensure the correction of behavior and reduction of aggressive actions.

The theme of the research is very important for our society. Children are people who need great care from adults. Unfortunately, we often hear about the accident in school. For example, we can recall a tragedy on Khorava Street some months ago, which shook the whole society. Pupils killed two children. . In addition, pupils are often oppressed, ridiculed, verbally insulted and so on. Children often become unconscious in violence and become oppressed by the oppressors, or for the defense or otherwise. They may not be able to understand how well they

are harming their peers. Victims of violence are not able to get the perfect education. They experience constant fear and anxiety.

From primary classes should increase awareness of adolescents and intimidation that violence is prosecuted. The goal of the survey was to find out which forms of violence were most common in Georgian public schools and how much information the teachers had about it. Effective work of teachers and school management can reduce the forms of violence and create a more friendly atmosphere in the school. All this will affect the development of children, which will give us a more healthy, developed and perfect citizens.

Key words : violence, conflict , school conflict

სარჩევი

თავი 1- შესავალი 7
თავი 2 - ძალადობის ფორმები დაწყებითი კლასის მოსწავლეებში 13
2.1-ძალადობის ცნება 13
თავი 3 - ბავშვზე ძალადობის განმარტება და ფორმები 14
3.1 – ბავშვზე ძალადობის ფორმები 14
თავი 4 - სკოლაში რთულ სიტუაციასთან გამკლაბვება 16
4.1 კონფლიქტი. ძირითადი ცნებები 16
4.2 - კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი ფორმები 17
თავი 5 - შუამავლობა, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება 18
თავი 6 - მოსწავლეების ქცევის მართვა და სასკოლო კონფლიქტებთან გამკლავება 21
თავი 7 - ბულინგი 24
თავი 8 - აგრესია ბავშვებში 26
თავი 9 - სასკოლო კონფლიქტის ადგილი 31
9.1 - სასკოლო კონფლიქტი: პირდაპირი და ირიბი 31
თავი 10 - რა უწყობს ხელს სასკოლო კონფლიქტების გავრცელებას? 33
თავი 11 - კლასში კონფლიქტურის შემთხვევების განხილვა 35
თავი 12 - კვლევის მეთოდები: 37
თავი 13 - კვლევის შედეგების ანალიზი 38
თავი 14 - დასკვნა 47
თავი 15 - ზოგადი რეკომენდაციები: 51
Bibliography 54

თავი 1- შესავალი

სკოლა ის ადგილია, სადაც ბავშვი პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს. პირველივე კლასიდან ბავშვს თანაკლასელების, მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება უყალიბდება. ასევე ხდება მისი თვითშეფასებისა და მოტივაციის ჩამოყალიბებაც. პრობლებები და კონფლიქტები, რომლებიც მოზარდს ამ დროს შეიძლება შეხვდეს, დიდ როლს ასრულებს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, შესაბამისად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ .

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს ძალადობის ფორმები საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებში.

ბავშვს ამ ასაკში თანაკლასელთან სხვადასხვა სახის კონფლიქტი შეიძლება განუვითარდეს, რომელებსაც განსხვავებული გამომწვევი მიზეზები ექნება. ეს შესაძლოა იყოს ,,გაღიზიანება-გამოჯავრება'', რომელიც საკმაოდ გავრცელებულია დაწყებით კლასებში. ასევე შეიძლება იყოს ,,ბულინგი'', თანაკლასელის დაცინვა რაიმე ნიშნით. ასევე საკმაოდ ხშირია ძალადობის მარკერების გამოვლინება. მაგალითად, თავში წამორტყმა და სხვა. (Bandura, 1971)

ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, როგორც საქართველოში ასევე მთელს მსოფლიოში. რადგან ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება, მისი თვისებების ფორმირება და მეგობრებთან ურთიერთობა ამ ასაკიდან იწყება, ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის სწორი მიმართულების ჩვენება. თუ ბავშვებს მივაწოდებთ ბევრ ინფორმაციას, თუ რამხელა ზიანი შეიძლებმა მათმა ქცევამ ან გამონათქვამმა, საკუთარ კლასელს მიაყენოს, მათ შესაძლებელია სხვაგვარად შეხედონ ამ საკითხს.

2007 წელს ,,იუნისეფის'' შეკვეთითა და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების თანამშრომლობით საქართველოში ჩატარდა ბავშვზე ძალადობის გავრცელების

ეროვნული კვლევა. კვლევის მიზანი იყო ბავშვზე ძალადობის ხასიათისა და მასშტაბების დადგენა.

კვლევის თანახმად დადგინდა, რომ სკოლებში ფიზიკური ძალადობის (ყურის აწევა, თმის მოქაჩვა, ხელზე დარტყმა, ტკენა/დაზიანება, თავში/სახეში დარტყმა, პანღურის ამოკვრა, თითების გადაგრეხვა, მოგუდვა, დაბმა, დაჭრა) მსხვერპლი გამოკითხულთა 47.5% იყო.

ფსიქოლოგიური ძალადობის სკოლაში (დაყვირება, გალანძღვა, დამამცირებელი სახელით მიმართვა, ნივთის მოპარვა/გატეხვა, ცუდი შეფასებით დამუქრება) მსხვერპლი - 47% იყო.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი (პორნოგრაფიის ჩვენება, სექსუალურად შეხება, ტანსაცმლის იძულებით გახდა, ბავშვის სხეულის ინტიმურ ნაწილზე შეხება) გამოკითხულ ბავშვთა 5.6% იყო.

ამ კვლევის თანახმად დადგინდა, რომ სასწავლო დაწესებულებებში ბავშვზე ძალადობა საკმაოდ გავრცელებულია, როგორც თანატოლების ასევე მასწავლებლების მხრიდან. (Unicef, 2007)

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატმა 2016–2017 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ბულინგი მოსწავლეთა შორის ურთიერთობის გავრცელებული ფორმაა. ბავშვები ხშირად ხდებიან ღირსების შემლახველი მოპყრობის, ყვირილისა და შეურაცხყოფის ობიექტები. რაც ყველაზე საგანგაშოა, ძალიან დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენციის დონე. მათ არ იციან ძალადობაზე სწორი რეაგირება. 2010 წლიდან საქართველოში არსებობს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები, რომლებიც ავალდებულებს ბავშვთან მომუშავე ყველა პროფესიონალს, რომ რეაგირება მოახდინონ ძალადობაზე. თუ მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვზე ხდება ძალადობა, ის

ვალდებულია ამის შესახებ სათანადო სამსახურებს აცნობოს. თუმცა, მონიტორინგმა აჩვენა, რომ სკოლის პერსონალმა კარგად არც კი იცის, რა არის ძალადობა და ძალადობად მიჩნევს მხოლოდ დაპირისპირების ძალიან მძიმე ფორმებს. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ სამწუხაროდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესის დროს თავადაც ხშირად მიმართავენ ძალადობას.

არც მოსწავლეებმა იციან, რა არის ძალადობა, რა უფლებები აქვთ და ვის უნდა მიმართონ ძალადობის შემთხვევაში. ამის შესახებ მათ თითქმის არავინ ესაუბრება.

რაც მთავარია, ბავშვებს არა აქვთ ნდობა სისტემის მიმართ. ფიქრობენ, რომ მასწავლებლისთვის ან მანდატურისთვის მიმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, ისევ მათ შეექმნათ პრობლემა. (ომბუდსმენი, 2016-2017)

ბევრი მეცნიერი იკვლევდა სკოლაში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების საკითხს. კონფლიქტოლოგი ქეითლინ მაქვეინი ერთი წლის განმავლობაში მოხალისედ მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სკოლის დაწყებით კლასში და მოსწავლეებს კონფლიქტების მოგვარებაში ეხმარებოდა. მისი აზრით, ახალგაზრდებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ კონფლიქტები თვითონ მოაგვარონ. ეს რასაკვირველია მასწავლებლების მეთვალყურეობისა და მითითებებით უნდა მოხდეს. თითოეული ბავშვი ესეთ დროს უკეთ იცნობს თანატოლის უნიკალურ თვისებებს, რაც შემდგომში კონფლიქტის ალბათობას ამცირებს.

მისი თქმით, სან-ფრანცისკოს სკოლის საბჭო კონფლიქტს აღიქვამს, როგორც დადებით მოვლენას, რადგან ის პრობლემაზე ახლებურად დაფიქრების საშუალებას გვაძლევს. კონფლიქტი აძლიერებს ურთიერთობებს და ბევრ რამეს გამოხატავს როგორც ჩვენზე , ასევე ჩვენს გარშემომყოფებზე. პრობლემის მოგვარება გვეხმარება არა იმის დადგენაში, რომ სხვა არასწორია, არამედ გავიგოთ მისი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს პროცესი მოიცავს თითოეული კონფლიქტის ძირეულ საკითხს.

კონფლიქტის დროს, პირველ რიგში უნდა გავიგოთ , თუ როგორ აღიქვამს თითოეული ადამიანი სიტუაციას. აქ თავს იჩენს თვითშეფასებებიც. ბავშვი, რომელსაც საკუთარი თავის მიმართ კარგი შეფასება აქვს, სხვის აზრებს უფრო მარტივად იღებს და იგებს.

(McVean, 1995)

კონფლიქტოლოგი, ნაომი რდიუ თავის წიგნში ,,მშვიდობის მშენებლობა'' გამოყოფს ,, მშვიდობიანი კლასის'' ოთხ კომპონენტს : პირველ რიგში მოსწავლეებმა საკუთარი თავი და თანაკლასელები უნდა მიიღონ. კლაში კარგად განვითარებული კომუნიკაშია უნდა იყოს. ბავშვებმა ერთმანეთის განსხვავებულობა უნდა გაიაზრონ და ისწავლონ კონფლიქტის მოგვარება. მისი თქმით, მშვიდობა იწყება თითოეული ინდივიდისგან, ეს გამოიხატება იმით, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ საკუთარ თავს. დრიუ გვაცნობს მეთოდს , რომელსაც ქვია ,, შემოქმედებითი ვიზუალიზაცია.'' ყველა კლასის დასაწყისში ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ თუ როგორი კლასი, სკოლა , ქვეყანა და მსოფლიო სურთ მათ. ის სვამს კითხვებს: ,, როგორ გინდა შენი თანაკლასელები გეპყრობოდნენ?'' ,,როგორი იქნება კლასი, თუ ჩვენ ყველა ერთმანეთს კარგს გავუკეთებთ?'' ,,როგორი განსხვავებული იქნება მსოფლიო, თუ ჩვენ ყველა საკუთარ წარმოდგენებს მშვიდობაზე რეალობაში გადმოვიტანთ?''. ბევრი ადამიანი გვარწმუნებს, რომ მათ არაფრის შეცვლა შეუძლიათ. მაგრამ მასწავლებლებს, რომლებიც ცდილობენ ბავშვებში ჩანერგონ მშვიდობის სიყვარული, სჭირდებათ ძალა, რათა ეს შეძლონ. იგი ამბობს, რომ მას უნახავს მასწავლებლები, რომლებიც რთული ქცევის ბავშვებთან ურთიერთობისას ნებდებიან. ეს არასწორია, რადგან სწორედ მათ უნდა მივუთითოთ შეცდომებზე და ვასწავლოთ ის, თუ რა არის სწორი. თუ ჩვენ მათ უარყოფით ქცევას ყურადღებას არ მივაქცევთ, ისინი დაიღუპებიან. (Drew N. , Peace Building, 2002)

სკოლაში საკმაოდ გავრცელებულია სხვადასხვა ძალადობის ფორმები, რაც საფრთხეს უქმნის მოსწავლეების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. სკოლებში ყველაზე გავრცელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია.

ხშირია შევიწროება, დაშინება, აგრესია. მოსწავლეები ხშირად გაუცნობიერებლად აყენებენ ტრამვას თანაკლასელებს, რამაც შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს მათ განვითარებასა და მომავალზე. ასეთ შემთხვევებში მთავარი პასუხისმგებლობა მასწავლებლებს და მშობლებს ეკისრებათ, რომლებიც უნდა ჩაერთონ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში.

სკოლებში ძალადობა ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფორმაა. ეს შეიძლება იყოს, როგორც ფსიქოლოგიური, აგრეთვე ფიზიკური ძალადობა. ბავშვებს უყალიბდებათ შიშისა და დაუცველობის განცდა. ასეთ დროს პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება, რადგაც ის ვერ ახერხებს ბავშვთა უფლებების სრულყოფილ დაცვას. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია თითოეული სახელმწიფოსგან მოითხოვს მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, ბავშვების ძალადობისგან დაცვის მიზნით. ევროპის საბჭო მიზნად ისახავს, რომ ძალადობას განათლებით დაუპირისპირდეს. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, როგორც საკუთარი, ასევე თანატოლთა უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები. (დადიანი, 2017)

ბარის უნივერსიტეტის რექტორმა, მილისენტ კელიმ, საკმაოდ საინტერესო კვევა ჩაატარა სასკოლო ძალადობის მსხვერპლ ბავშვების როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მან გამოყო სკოლებში ძალადობის სამი ფორმა: 1) დაშინება 2) სიტყვიერი შეურაცყოფა 3) ბულინგი. მისი აზრით, სასკოლო კონფლიქტებმა მოზარდებს შესაძლოა მიაყენოს ღრმა ემოციური ზიანი. სასკოლო ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ შპოთვა, დეპრესიულობა, პოსტ ტრამვული სტრესის სინდრომი. ისინი კარგავენ ნდობას სკოლისა და თანატოლების მიმართ. ასეთი ბავშვები ვერ ახერხებენ სასწავლო პროცესი სრულად ჩართვას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ განათლებაზე. (Millicent Kelly.2004)

საქართველოში სკოლაში ძალადობის არაერთი შემთხვევა გაგვიგია. ეს ყველაფერი დაწყებითი კლასებიდან იწყება და შემდეგ მაღალ კლასებში ვითარდება. ამიტომ

ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ბავშვებებს პირველივე კლასიდან და მაქსიმალურად ვეცადოთ მათი ცნობიერების ამაღლებას ძალადობასთან დაკავშირებით.

თავი 2 - ძალადობის ფორმები დაწყებითი კლასის მოსწავლეებში

2.1-ძალადობის ცნება

ძალადობის უამრავი განმარტება არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2006 წლის განმარტებით, ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების განზრახ გამოყენება რეალური ან მუქარის სახით მიმართული საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგს წარმოადგენს სხეულის დაზიანებები, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ტრამვა, გადახრები განვითარებაში ან სხვადასხვა სახის ზიანი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, ძალადობა 3 ფართო კატეგორიად იყოფა იმის შესაბამისად, თუ ვინ ახორციელებს ძალადობის აქტს:

1. საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა;
2. პიროვნებათაშორისი ძალადობა;
3. კოლექტიური ძალადობა.

ეს ნიშნავს, რომ განასხვავებენ ძალადობას, რომელსაც ადამიანი საკუთარი თავის მიმართ ახორციელებს; ძალადობას, რომელსავ მეორე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ახორციელებს და ძალადობას, რომელსაც უფრო მსხვილი ჯგუფი, მაგალითად, სახელმწიფო, ორგანიზებული პოლიტიკური ჯგუფები, შეიარაღებული და ტერორისტული ორგანიზაციები ახორციელებენ.

თავი 3 - ბავშვზე ძალადობის განმარტება და ფორმები

ბავშვზე ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნია მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

ბავშვზე ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ქცევა,რომელიც ბავშვს ტრამვას აყენებს. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემით, ყურის აწევით, მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი ნივთების ხელყოფით, საჯარო შეურაცყოფით, სექსუალური ქმედებებით და სხვა. ბავშვზე ძალადობა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის, ბავშვის განვითარების ყოველ ასპექტზე ახდენს გავლენას.ძალადობა არღვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, სოციალურ უნარ-ჩვევებს.

3.1 - ბავშვზე ძალადობის ფორმები

ასხვავებენ ბავშვზე ძალადობის შემდეგ ფორმებს:

1. ფიზიკური ძალადობა;
2. ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა;
3. სექსუალური ძალადობა
4. უგულებელყოფა

ფიზიკური ძალადობა არის ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას.ფიზიკური ძალადობა შეიძლება იყოს: ცემა, ხელისკვრა, პანღურის ამორტყმა, დაწვა, კბენა, მოგუდვა, ნებისმიერი ტკივილის მიყენება.

ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა - სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვის შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფიზიკური ჯანმრთელობის საზიანო სხვა მდგომარეობის პროვოცირება. ეს არის ბავშვის დამცირება, დასჯა, დაშინება და ნორმალური სოციალური ურთიერთობების შეზღუდვა ბავშვის კომპეტენციისა და თვითშეფასების დაქვეითების მიზნით.

სექსუალური ძალადობა- ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან გამორჩენის მიზნით, რაც მოიცავს: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიულ ალერსს, თვალთვალს და სხვა.

უგულებელყოფა- ბაშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვიტარებისთვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილება მშობლის ან მეურვის მხრიდან. (თავართქილაძე, 2011)

თავი 4 - სკოლაში რთულ სიტუაციასთან გამკლაბვება

4.1 კონფლიქტი. ძირითადი ცნებები

რა არის კონფლიქტი?კონფლიქტი არის წინააღმდეგობა ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომელიც წარმოიშვება მათი მიზნების, შეხედულებების, სურვილების, ინტერესების, დაპირისპირების გამო.

ცხოვრება კონფლიქტების გარეშე წარმოუდგენელია. შეუძლებელია, რომ ბავშვების ინტერესები და სურვილები ყოველთვის და ყველაფერში ემთხვეოდეს მათი მეგობრების, მშობლების, ახლობლების, ნაცნობების და სხვა გარემომცველი ადამიანების ინტერესებსა და სურვილებს.

კონფლიქტი შეიძლება იყოს კონსტრუქციული, როდესაც არც ერთი მხარე არ აყენებს ერთმანეთს შეურაცყოფას, ისინი უსმენენ ერთმანეთს და აღიარებენ საკუთარ შეცდომებს. ამგვარი კონფლიქტების გადაჭრა ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობის განვითარებას. ასევე კონფლიქტი შესაძლოა იყოს დესტრუქციული, როდესაც ერთ-ერთი მხარე ჯიუტად და უხეშად დგას თავის პოზიციაზე და არ სურს მეორე მხარის ინტერესთა გათვალისწინება და აგრეთვე ცდილობს დათრგუნოს და დაამციროს მოწინააღმდეგე.

ხშირად კონფლიქტი წვრილმანების გამო წარმოიშობა: დაუფიქრებელი ნათქვამი სიტყვა, უმნიშვნელო ინციდენტი და უკვე ჩამოყალიბებულია კონფლიქტი.

კონფლიქტების წარმატებით დასაძლევად აუცილებელია კარგად წარმოვიდგინოთ, თუ რა ქმედებები იწვევენ კონფლიქტს.

4.2 - კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი ფორმები

კონფლიქტის მოგვარების შესახებ მსჯელობა რამდენიმე ეტაპად უნდა წარიმართოს:

ა) <u>პრობლემის ამოცნობა და გარკვევა:</u>

რა მოხდა? ვისი ბრალია? რატომ მოხდა? რატომ გაჩნდა ჩემთან ეს პრობლემა? რა შეზღუდვები მაქვს? რამდენი ხანია, რაც არ შემიძლია ამ პრობლემის მოგვარება? რას ვგრძნობ? რა მჭირდება? რა მინდა შევცვალო? როდისთვის მინდა სასურველი შედეგის მიღება? როდესაც სასურველ მიზანს მივაღწევ, რა შეიცვლება ჩემს ცხოვრებაში?

ბ) <u>პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება:</u>

რა მჭირდება მიზნის მისაღწევად? რა მაკლია ამისთვის? რა რესურსები, რა ძალები გამაჩნდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად? როგორ გამოვიყენებ ამ ძალებს შედეგის მისაღწევად? როგორ გამოვიყენებთ ხელისშემშლელ მიზეზებს ჩემს სასარგებლოს? რა გზით დავიწყებ პრობლემის მოგვარებას? (აქ აუცილებლად უნდა დასახელდეს პრობლემის გადაჭრი რამდენიმე ვარიანტი)

გ) <u>მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი :</u>

ეს უსაფრთხოა? რას შეიძლება გრძნობდნენ სხვა ადამიანები? ეს სამართლიანია? ეს გაამართლებს?

დ) <u>საბოლოო გადაწყვეტილება და შესაბამისი მოქმედება</u>

ე) <u>შედეგის შეფასება</u> :

მოგვიანებით აუცილებლად გააანალიზეთ : რა გავაკეთე? რამ გამოიღო შედეგი ? რამ არ გამოიღო შედეგი? რა უნდა გამეკეთებინა სხვანაირად? რა ვისწავლე აქედან? (Heitler, 2012)

თავი 5 - შუამავლობა, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება

ბავშვთა შორის კონფლიქტის დროს ხშირად მომრიგებლის, შუამავლის როლი მოზრდილმა ადამიანმა უნდა იკისროს. ამ შემთხვევებში მნიშვნელოვანია გარკვეული პრინციპების გათვალისწინება. ეს პრინციპებია:

1. ,,გრძნობათა გამოხატვის'' პრინციპი :

ფსიქოლოგთა დაკვირვებით, თუ ადამიანს თავისი უარყოფითი ემოციების დაუბრკოლებლად გამოხატვის საშუალებას მივცემთ, ისინი თანდათანობით თავისთავად შეიცვლებიან დადებითი ემოციებით. ამ პრინციპით რეალიზება თქვენგან მოთმინებასა და თანამოსაუბრის ემოციური მხარდაჭერის უნარს საჭიროებს. თქვენ უნდა გამოხატოთ თანაგრძნობა, უნდა გამოჩნდეს, რომ გაუგეთ თანამოსაუბრეს. ეს რასაკვირველია არ იქნება იმის გარანტია, რომ თქვენ მას ეთანხმებით.

2. ,,ემოციური ანაზღაურების'' პრინციპი:

როდესაც ადამიანი თავუს მოწინააღმდეგეზე თქვენთან ჩივის, ის დაჩაგრულად და დასარალებულად უნდა მიიღოთ, თუმცა შესაძლოა ნამდვილი დაზარალებული არც იყოს. ამგვარი თანაგრძნობა თქვენი თანამოსაუბრისთვის სულიერი დისკომფორტის ემოციური ანაზღაურება იქნება.

3. ,,ავტორიტეტული მესამის'' პრინციპი:

ერთ-ერთი მხარის შემრიგებლურმა, კეთილმა შეხედულებამ მეორის შესახებ, რომელსაც მესამე პირი ამცნობს განაწყენებულ მხარეს, შეიძლება უკანასკნელს კომპრომისის ძიებისკენ უბიძგოს.

4. ,,აგრესიის გაშიშვლების'' პრინციპი :

თქვენ უბიძგებთ კონფლიქტში მყოფ მხარეებს თქვენი თანდასწრებით იჩხუბონ და საკმაოდ დიდხანს არ ერევით მათ ჩხუბში. როგორც წესი, მესამე პირის თანდასწრებით კონფლიქტში მყოფნი არ მიმართავენ ისეთ უკიდურესობებს, რომ პირდაპირი მნიშვნელობით მათი გასიშვლება გახდეს საჭირო.

5. ,,მოწინააღმდეგის იძულებით მოსმენის'' პრინციპი:

თქვენი თანდასწრებით ჩხუბის დროს მოულოდნელად აჩერებთ მოჩხუბრებს და სთავაზობთ თითოეულ მხარეს გაიმეოროს მოწინააღმდეგის ბოლო რეპლიკა. ჩვეულებრივ, ადამიანები ვერ ახერხებენ ერთმანეთის რეპლიკების აღდგენას, რადგან, ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარ ტავს უსმენს. მოწინააღმდეგეს კი ისეთ გამონათქვამებს მიაწერს, რომლებიც მას სინამდვილეში არც უთქვამს. ამგვარი სიტუაციის უჩვეულობა, მოულედნელობა ამცირებს ვნებათაღელვას და ურთიერთ სისასტიკეს, ხელს უწყობს თვითკიტიკის ზრდას.

6. ,,პოზიციების გაცვლის'' პრინციპი:

თქვენ აჩერებთ თქვენს თვალწინ გამართულ ჩხუბს, სთხოვთ კონფლიქტში მყპფ მხარეებს გაცვალონ ადგილები და დავის საგანს ერთმანეთის თვალით შეხედონ. ეს ხერხი უნიკალური ეფექტურობით გამოირჩევა, ანუ მისი გამოყენება შესაძლოა ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

7. მოდავეთა ,,სულიერი ჰორიზონტების გაფართოების'' პრინციპი:

მოწინააღმდეგეების დავის საშუალებას აძლევთ და ამა თუ იმ ხერხით ამ ყველაფერს იწერთ (სასურველია როგორც ვიდეო გადარება, ასევე ხმის ჩაწერაც). შემდეგ მხარეებს ამ ჩანაწერებს აჩვენებთ. როგორც წესი, მოწინააღმდეგეები ითრგუნებიან იმისგან, რაც ნახეს და მოისმინეს. ორივე მხარე ხედავს, რომ უღირსად

იქცეოდა. თქვენ დავის განხილვას იწყებთ ხა შეუბრალებლად ამხელთ თითოეული მათგანის ეგოიზმს. (დენი, 2011)

თავი 6 - მოსწავლეების ქცევის მართვა და სასკოლო კონფლიქტებთან გამკლავება

სასკოლო დისციპლინა- ეს არის მოსწავლეთა ქცევის წესი, რომელიც განაპირობებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმატებას. ჩვეულებრივ გამოყოფენ გარეგან და შინაგან დისციპლინას.

მთავარი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს გაკვეთილზე მოსწავლეთა დისციპლინას, არის გულდასმით შემუშავებული გაკვეთილი. როცა გაკვეთილი კარგადაა აგებული და მასში ყველა მოსწავლე ჩართულია, ისინი დისციპლინას არ დაარღვევენ. როდესაც გაკვეთილი უინტერესო ხდება, დისციპლინირებული ქცევაც ქრება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გაკვეთილზე ბავშვის მოწესრიგებულ ქცევაზე, არის მასწავლებელსა და ბავშვებს შორის ურთიერთობის ტიპები. გამოყოფენ სამ ურთიერთობის ტიპს;

1. ავტორიტარული სტილი, რომლის დროს მასწავლებელი კლასზე მაღლა დგას, ის ახორციელებს ბავშვის ქცევის ერთპიროვნულ მართვას.
2. დემოკრატიული სტილი, რომლის დროსაც მასწავლებელი ბავშვებთან ერთად უძღვება დისციპლინის მართვას და ინ ,,კლაისის შიგნითაა''.
3. ურთიერთობის ლიბერალურ-მიშვებული სტილი, რომლის დროსაც მასწავლებელი არ მართავს ბავშვების ქცევას, იმყოფება მათგან განდგომილად, არ უსახავს ბავშვებს მიზნებს.

ხშირად კლასში დისციპლინის დარღვევის მიზეზებია:

- თუ მოსწავლეები გაკვეთილისთვის მზად არ არიან, ისინი იწყებენ დისციპლინის დარღვევას , რათა ჩაშალონ გაკვეთილი.
- თუ მოსწავლისთვის გაკვეთილი საინტერესო არ არის, ისინი გადაერთვებიან სხვა საკითხების ერთმანეთში განხილვაში
- მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ცუდად განვითარებული სოციალური უნარ ჩვევები და დაბალი თვითშეფასება, ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებენ, რათა ელაპარაკონ ან ფიზიკურად შეუტიონ თანაკლასელებს.

დისციპლინის დამყარების ნორმები შემდეგია:

- მოთხოვნები გასაგები უნდა იყოს თითოეული მოსწავლისთვის;
- მოთხოვნები უნდა იყოს საერთო და არანაირი გამონაკლისი;
- მასწავლებელი მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს და იცოდეს რა ხდება კლასში;
- მასწავლებელმა გაკვეთილის მსვლელობისას არ უნდა დაკარგოს თვითკონტროლი
- გაკეთებული შენიშვები უნდა ეხებოდეს მოსწავლეთა ქცევას, მაგრამ არა მოსწავლეებს პიროვნულად;
- მასწავლებელმა, დამსახურების შემთხვევაში, უნდა წაახალისოს მოსწავლეები.

სკოლაში კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა გახდეს აქსელერაცია (ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და ზრდის დაჩქარება წინა თაობებთან შედარებით). ამ დროს ჩქარდება არა იმდენად ორგანიზმის ზოგადი მომწიფება, რამდენადაც ძლიერდება მისი დისჰარმონია სოციალურ მომწოფებასთან და ღრმავდება მოზარდობის კრიზისი. ეს აძნელებს

ბავშვების სწორ აღზრდას. პედაგოგისთვის სულ უფრო ძნელი ცდება მოსწავლეების შინაგანი მდგომარეობისა და მოთხოვნილებების გაგება, მათთან ურთიერთობა, მათი ხელმძღვანელობა. ამიტომ თავს იჩენს კონფლიქტი.

მოსწავლეებისადმი ძალიან მკაცრი ან ძალიან ლოიალური დამოკიდებულება იწვევს პროტესტის რეაქციას, რადგან მოზარდობის ასაკში ბავშვები მასწავლებლებში, პირველ რიგში, ადამიანურ თვისებებს აფასებენ. მასწავლებელს უნდა ესმოდეს თავისი მოსწავლეების, პატივისცემით ეპყრობოდეს მათ, უნდა შეეძლოს მათი აყოლიება და ა.შ.

მშობლების მსგავსად მასწავლებელიც მოზარდის თვალში ძალაუფლების მქონე პირია, რომელსაც შეუძლია დასჯა და შექება, ის გარკვეულ სფეროში ცოდნის ავტორიტეტული წყაროა. მასწავლებელი ამავე დროს მეგობარი უნდა იყოს.

მოსწავლეების აზრით, იდიალური მასწავლებელი არის ის, რომელსაც აქვს:

1. გაგების, თანაგრძნობის უნარი, ანუ მათ სურთ მასწავლებელში დაინახონ გულითადი მეგობარი;
2. პროფესიული კომპეტენტურობა, სათანადო ცოდნის დონე და ამ ცოდნის გადმოცემის უნარი;
3. მისთვის მინიჭებული უფლებების სამაგალითოდ გამოყენების უნარი.

(Drew N. , 1995)

თავი 7 - ბულინგი

21 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმა სკოლებში არის ბულინგი. ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ძირითადად სკოლებში გვხვდება.

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ბულინგს განმარტავს, როგორც სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას, ეს არის განმეორებით ჩადენილი ნეგატიური ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმას.

ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში ეს არის სკოლა. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ბულინგის მოტივაცია კი სხვადასხვაგვარია- შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვ.

ძირითადად ბულინგის დაყოფა ხდება ოთხ ტიპად (Berger, Kathleen Stassen (2014)

1. ფიზიკური ბულინგი - ბულინგის ყველაზე ძალადობრივი ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას. მისი ფორმებია: ჩხუბი, თმის მოქაჩვა, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება და სხვა.

2. ფარული ბულინგი - ეს არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი. მაგ: ტყუილები, ჭორების

გავრცელება, სხვა მოსწავლეებთან დამცირება, მოსწავლის სოციალურ იზოლაციაში მოქცევა და სხვ.

3. ვერბალური ბულინგი - არის ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ამ შემთხვევაში მოსწავლის დამცირებას და მასზე ძალადობას აქვს ვერბალური ხასიათი. მისი ფორმებია: დაცინვა, შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა, დაშინება.

4.კიბერ- ბულინგი - განსხვავდება ბულინგის სხვა ფორმისაგან, რამეთუ ის სექსუალურ მიზნებს უკავშირდება, თუმცა ტრადიციული "ბულინგის" მსგავსად, შესაძლოა მოიცავდეს დამამცირებელი სახელების შერქმევას, თავდასხმასა და შანტაჟის სერიოზულ საფრთხეებს.

სკოლებში ვხვდებით მოსწავლეებს, რომლებიც განეკუთვნებიან ე.წ. ,,მაღალი რისკის'' კატეგორიას. ბავშვები ხასიათდებიან გამოხატული აგრესიულობითა და იმპულსური ქცევებით. მათი ძირითადი მახასიათებლებია:

- აგრესიული ქცევა თანატოლებთან
- გამომწვევი და თავხედური ქცევა უფროსებთან და თანატოლებთან
- სპონტანური, დაუფიქრებელი რეაგირება მოვლენაზე ან სიტუაციაზე
- ყურადღების მიქცევის დაუოკებელი სურვილი
- დანაშაულის გრძნობის სუსტი განცდა
- სცვებთან ურთიერთობაში ეგოისტუტი დამოკიდებულება, რაც გამოიხატება სხვისთვის საუბრის გაწყვეტინებასა და საკუთარი აზრების წამოყვირებაში.

ბულინგის დროს ქცევებში შეინიშნება: მეტსახელების შერქმევა; დაცინვა; მუქარა; ხელისკვრა; ჯგუფიდან გარიყვა; სხვა ბავშვის შესახებ დამამცირებელი, უცენზურო წარწერების გაკეთება; ნივთების ან ფორმის წართმევა; იგნორირება; მუშტებით ან ფეხით ცემა; ცილისწამება და სხვა. (Stopbullying, 2017)

თავი 8 - აგრესია ბავშვებში

სკოლაში ბავშვებს შორის კონფლიქტურ სიტუაციებს მათი აგრესიულობა იწვევს. საკუთარ აგრესიას ისინი ხშირად ძალადობის სხვადასხვა ფორმებით გამოხატავენ.

"აგრესია" ლათინური სიტყვაა და თავდასხმას ნიშნავს.
აგრესია – ეს არის ადამიანის ბუნებრივი საპასუხო რეაქცია სხვა ადამიანის ქმედებაზე ან გარემო პირობებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ კეთილდღეობას, ხოლო აგრესიულობა – ეს არის ადამიანის ხასიათის თვისება, მოქმედების სტრატეგია, რომლის დროსაც ადამიანი უფრო ხშირად ირჩევს აგრესიას, როგორც საპასუხო რეაქციას გარემოზე და სხვა ადამიანებზე.

სიცოცხლის პირველ თვეებში ბავშვი გარემო ფაქტორებსა და გამღიზიანებლებზე ორგვარ რეაქციას გამოხატავს: ის ან კმაყოფილია, ან რაღაცით გაღიზიანებული, ხმამაღლა ტირის და უფროსებს საშველად იხმობს. ასაკის მატებას ემოციების გამოხატვის მრავალფეროვნება მოსდევს, შესაძლოა გაჩნდეს აგრესია. აგრესია შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ ასაკში. თვეების ბავშვის ყვირილი, ტირილი, უხეში მოძრაობები არის ბავშვის მცდელობა გამოხატოს ემოციები და არის აგრესიის გამოვლინება. თუმცა ეს არის საპასუხო რეაქცია არახელსაყრელ პირობებზე. რაც შეეხება ჩვევას, ის ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ხვდება, რომ ეს არის სასურველის მიღებისა და ურთიერთობის საუკეთესო საშუალება.

აგრესიულ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, იგნორირება, მუქარა, ცემა. განასხვავებენ ორი ტიპის აგრესიას: 1) ინსტრუმენტული აგრესიის დროს აგრესია არის არა მიზანი, არამედ რაღაცის მოპოვების საშუალება. მაგალითად, როცა ბავშვი გამოხატავს ფიზიკურ ძალადობას მეგობარის მიმართ, რომელმაც მისი სათამაშო აიღო, ამით ის

ცდილობს, დაიბრუნოს საკუთარი ნივთი. 2) მტრული აგრესიის მიზანი კი ადამიანისთვის ზიანის მიყენებაა. აგრესიის ეს ტიპიც, თავის მხრივ, ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ა) პირდაპირი აგრესიის შემთხვევაში აგრესიული ქცევა მიმართულია იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც გამოიწვია აგრესია. ბ) ირიბი აგრესიის შემთხვევაში აგრესიული ქმედება ვერ ან არ ხორციელდება მისი გამომწვევის მიმართ და გადადის სხვა, ხშირად უფრო სუსტ ადამიანებსა და არსებებზე, ან საგნებზე .

ირიბი აგრესიის შემთხვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჭორების გავრცელებაც იმ ადამიანის შესახებ, ვისი წყენინებაც გვინდა და ერთგვარი შანტაჟიც – არის შემთხვევები, როცა ბავშვები ერთმანეთს ემუქრებიან: “თუ ნინიკოსთან ითამაშებ, მე შენ აღარ გემეგობრები!” – სკოლამდელ ასაკში უმთავრესად ინსტრუმენტული აგრესიაა გავრცელებული. კბენა, ხელის კვრა, ნივთების სროლა, ყვირილი – ეს ყველაფერი შეიძლება მოჰყვეს საყვარელი სათამაშოს წართმევას ან ბავშვისთვის მიუღებელ ნებისმიერ ქმედებას, თუნდაც ისეთს, რომელიც მისივე უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვისაა გამიზნული. ზრდასთან ერთად აგრესიის გამოხატვის ფორმები იცვლება.

ასევე აგრესიის ფორმებია:

- ფიზიკური აგრესია – ფიზიკური ძალის გამოყენება;
- ვერბალური აგრესია – სიტყვიერი აგრესია ან ყვირილი, კივილი;
- გაღიზიანება – ნეგატიური გრძნობების გამოხატვის მზადყოფნა;
- წყენა;
- უნდობლობა, ეჭვიანობა;
- ნეგატივიზმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭებს ახასიათებთ უფრო პირდაპირი და ფიზიკური აგრესია, ხოლო გოგონებს უფრო ვერბალური და არაპირდაპირი. ეს შეიძლება ნაკლებ შესამჩნევი იყოს, მაგრამ არანაკლებ მტკივნეული

ხანდახან ბავშვებს არ ყოფნით სოციალური უნარები ან თვითკონტროლი იმისათვის, რომ მართონ საკუთარი საქციელი. როცა ბავშვები სიტყვებით ვერ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს აგრესიის მომენტში, ისინი ხდებიან იმედაგცრუებულნი. სხვა დროს კი, მათ არ შეუძლიათ ბრაზის მზარდი დონის მართვა. ორივე შემთხვევაში აუცილებელია, ბავშვებს ვასწავლოთ მისაღები გზები მსგავსი პრობლემების თავიდან აცილებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორი – ოჯახი, ბაღი, სკოლა, მეგობრები, წიგნები, რომლებსაც უკითხავენ ან თავად კითხულობენ ბავშვები, ფილმები, რომლებსაც უყურებენ... ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მათი ხასიათის ჩამოყალიბებაზე. სკოლამდელ ასაკში ბავშვებს ახასიათებთ მიბაძვა. მისაბაძი ობიექტი შეიძლება იყოს აღმზრდელი, მულტფილმის გმირი, მეზობელი... და თუ ის ობიექტი აგრესიულად იქცევა, ბავშვიც ბაძავს მას. არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტურ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად უყალიბდებათ სამყაროზე ძალადობრივი წარმოდგენა. ისინი საფრთხეს ხედავენ იქ, სადაც ის არ არის, ნებისმიერ წარუმატებლობას, თანატოლების მხრივ თუნდაც ნეიტრალურ დამოკიდებულებას მტრულ განზრახვად აღიქვამენ და აგრესიას იყენებენ როგორც თავდაცვის საშუალებას, თუმცა მათ არავინ ემუქრება. “ყველა მე მეჩხუბება და ამიტომ ვჩხუბობ”, – ასე იმართლებენ თავს. როცა შინ ფიზიკურად სჯიან, ისინი სწავლობენ, რომ ცემა არის სირთულის დაძლევის წარმატებული გზა. აგრესიის გამომწვევი კიდევ ერთი ფაქტორია გადაჭარბებული ან დაქვეითებული თვითშეფასება. ამ შემთხვევაში ბავშვი აგრესიულ ქცევას იყენებს სხვებზე ბატონობისთვის და უგულებელყოფს მსხვერპლის ტკივილს. იმედგაცრუება, გეგმების ჩაშლაც იწვევს აგრესიულ ქცევას. ბავშვი შესაძლოა

გაბრაზდეს იმის გამო, რომ დედამ ეზოში არ ჩაუშვა და ჯავრი უმცროს დაზე ან ძმაზე იყაროს.

რაც შეეხება კონკრეტულად მოზარდების აგრესიას- არსებობს უამრავი მიზეზი, რომელმაც შეიძლება მოზარდებში აგრესია განაპირობოს. ესენია:

- უფროსების მაგალითი, თუ ბავშვი იზრდება გარემოში, სადაც აგრესიულობა ნორმაა, ის მაგალითს იღებს და „ჩვეულ ენაზე“ გასცემს პასუხს. ხშირად ეს გარემო არის ოჯახი, სკოლა, ეზო…
- პროტესტი – ხშირად უფროსები ან თანატოლები აიძულებენ, უბრძანებენ ბავშვს მოიქცეს ისე, როგორც მას არ უნდა და ეს შეიძლება აგრესიის მიზეზი გახდეს.
- ინფანტილიზმი – ხშირად აგრესიული მოზარდის ფსიქიკური და კალენდარული ასაკი არ ემთხვევა ერთმანეთს, ამ შემთხვევაში მას ჯერ არ აქვს გათვითცნობიერებული ქცევის ნორმები, რამაც შეიძლება აგრესია გამოიწვიოს.
- მოზარდების „უცნაური“ იუმორის გრძნობა, რომელსაც უფროსები ვერ უკეთებენ სწორ ინტერპრეტაციას.
- მოზარდის პათოლოგიური ხასიათი, მომატებული აგზნებადობა და კონფლიქტურობა (ყველაზე მძიმე მიზეზი)

აგრესია სიგნალია, რომ ბავშვის ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არაა. აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მშობლის არასაკმარისი ყურადღებაა. აგრესიული ქმედებით ბავშვები ზოგჯერ სწორედ ყურადღების მიპყრობას ცდილობენ. მიზეზი შესაძლოა ზედმეტად მკაცრი მშობლებიც გახდნენ, ასევე აგრესიას იწვევს მშობლების გადაჭარბებული ყურადღებაც, ბავშვის ზედმეტად განებივრება. ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი ყოველ აკრძალვას ან მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას აგრესიით უპასუხებს. აგრესიის ერთ-ერთი

გამომწვევი მიზეზი საკუთარი თავით უკმაყოფილებაა. ბავშვისთვის (და არამარტო ბავშვისთვის) მნიშვნელოვანია, რომ ის უპირობოდ უყვარდეთ, ამით იგი საკუთარი თავის სიყვარულს სწავლობს. თუ ბავშვს არ ეყვარება საკუთარი თავი, ის ვერ შეძლებს სხვის სიყვარულს, ამ შემთხვევაში კი აგრესია სავსებით ლოგიკური ხდება.

აუცილებელია ბავშვებთან განვახორციელოთ პოზიტიური აღმზრდელობითი ღონისძიებები . მათ სჭირდებათ ისწავლონ პრობლემის გადაჭრის პოზიტიური ტექნიკები. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა შეუქმნან ბავშვებს ისეთი გარემო, სადაც მათ შეეძლებათ დაისწავლონ პოზიტიური სოციალური ქცევა საწინააღმდეგოდ აგრესიულის, მტრულის და ანტისოციალურისა.

აგრესიული ქცევის შემჩნევისთანავე საჭიროა მისი აღმოფხვრა და საუბარი იმის შესახებ, რატომ არის ასეთი ქცევა მიუღებელი. საუბარი სამომავლოდ არ უნდა გადავდოთ, რადგან ბავშვი შესაძლოა ვერ მიხვდეს, მისი რომელი საქციელი არ მოეწონათ. (Kutner, 2016)

თავი 9 - სასკოლო კონფლიქტის ადგილი

სასკოლო კონფლიქტს სხვადასხვა ადგილზე ვაწყდებით. ძალიან ხშირად იგი გვხვდება სკოლაში ან სკოლასთან ახლოს; კლასში, სკოლის გზაზე, დერეფანში, სასადილოშ, სპორტულ მოედანზე და სხვა.

9.1 - სასკოლო კონფლიქტი: პირდაპირი და ირიბი

პირდაპირია კონფლიქტიი, როცა თანატოლები ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცყოფას, თავს ესხმიან, ხელს კრავენ, დასცინიან და სხვა.

ირიბი კონფლიქტი გულისხმობს ისეთ ქცევას, როცა ბავშვს ტკივილს აყენებენ უშუალო აგრესიის გამოყენების გარეშე. მაგალითად,არ ელაპარაკებიან, არ აძლევენ საერთო საქმიანობაში ჩართვის საშუალებას და სხვა.

- ძალადობა განცდილი მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდეს შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.
- ზოგჯერ ბულინგი სერიოზული ფიზიკური ტრავმებითაც მთავრდება.
- სასკოლო ტერორში ჩართული ბავშვები ხშირად აგრესიის გამოვლენის კრიმინალურ ფორმებს მიმართავენ.
- სასკოლო ტერორის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ.
- ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშვალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი.

ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესიის მსხვერპლი. სასკოლო ტერორის შედეგად მიღებულმა ძლიერმა ემოციურმა ტრავმამ შეიძლება ბავშვი სუიციდამდე მიიყვანოს.

თავი 10 - რა უწყობს ხელს სასკოლო კონფლიქტების გავრცელებას?

ბავშვთა და მოზარდთა შორის სასკოლო კონფლიქტის გავრცელებასა და დამკვიდრებას ხელს უწყობს ამ მოვლენის მიმართ როგორც უფროსებში, ასევე ბავშვებში ჩამოყალიბებული არასწორი დამოკიდებულება, მცდარი შეხედულებები.

ხშირად შეიძლება გავიგონოთ, რომ თანატოლთა მიმართ ბავშვთა აგრესიულობა ზრდის ბუნებრივი პროცესის გამოხატულებაა. მოზრდილთა საზოგადოებაშიც ხომ არიან წარმმართველები და მორჩილები. ამითომ ვიღაცამ ვიღაცაზე აუცილებლად უნდა მოახდინოს ზეწოლა. ბავშვები ხედავენ ამას უფროსების ქცევებში და თვითონაც იმეორებენ. ამასთან, მოზრდილთაგან განსხვავებით, თავიანთ გრძნობებს უფრო ღიად და გულუბრყვილოდ გამოხატავენ. იქნებ სწორედ ამიტომ, აგრესიულ ბავშვებს ხშირად რბილად ,,ჩხუბისთავებს'' უწოდებენ, ავიწყდებათ, რომ შეიძლება მათ ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ თავიანთი მსხვერპლის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას.

მცდარი შეხედულებები:

- სასკოლო კონფლიქტი ნორმალური მოვლენაა. ის ყოველთვის ხდებოდა და მოხდება
- ყოველ ბავშვს უნდა შეეძლოს თავის დაცვა. ამიტომ სასკოლო კონფლიქტი გარკვეული დოზით საჭიროც კია ბავშვის გაძლიერებისთვის
- სასკოლო კონფლიქტების შესახებ საუბარი, დასმენა, ენის მიტანა ბავშვური საქციელია
- სასკოლო კონფლიქტი ეხება ბავშვების მხოლოდ მცირე რაოდენობას
- სასკოლო კონფლიქტების შემთხვევების უმეტესი ნაწილი ხდება არა სკოლაში , არამედ სკოლის გარეთ

- დახმარება სჭირდება სასკოლო კონფლიქტის მსხვერპლს, აგრესორი კი უბრალოდ უნდა დაისაჯოს. (თავართქილაძე, 2011)

თავი 11 - კლასში კონფლიქტურის შემთხვევების განხილვა

სასკოლო კონფლიქტის ფაქტის გამოვლენის დროს, მასწავლებელს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. მან მომხდარი შემთხვევა უნდა განიხილოს. ბავშვს უნდა მოაყოლოს რაც მოხდა, რას გრძნობს და რა მოუვიდა. მასწავლებელმა თანაგრძნობა და მხარდაჭერა უნდა გამოხატოს. მან ბავშვთან ერთად უნდა შეადგინოს მისი უსაფრთხოების გეგმა. შეეცადოს ჩართოს დაზარალებული ბავშვი ისეთ საქმიანობასი, სადაც თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ექნება. მასწავლებელი აუცილებლად უნდა დააკვირდეს, როგორ მიდის ბავშვის საქმეები შემდგომ და საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს მშობლებს.

მნიშვნელოვანია მასწავლებელს ახსოვდეს, რომ დახმარება სჭირდება როგორც ტერორის მსხვერპლს, ისე ინიციატორს, აგრესორ ბავშვსაც. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღვიქვათ, როგორც ბავშვური სიცელქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად ექცეს. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.

მასწავლებლის დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი და არა თავად ბავშვი.

კლასში კონფლიქტური შემთხვევების განხილვა მნიშვნელოვანია, არა იმის ძიება თუ ვინ არის ამ სიტუაციაში დამნაშავე, არამედ იმის გარკვევა, თუ რა მოხდა, რა როლი შეასრულა სიტუაციაში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა. განხილვასი შეიძლება ყველა ბავშვი მონაწილეობდეს- აგრესორიც, მსხვერპლიც, დამკვირვებლებიც. მაგრამ თუ აგრესორს და მსხვერპლს არ სურთ სიტუაციის განხილვაში მონაწილეობა, საკითხს განვიხილავთ მხოლოდ დამკვირვებლებთან ერთად. სასკოლო კონფლიქტის

შემთხვევაზე დამკვირვებელ ბავშვებთან საუბარი მათ დაეხმარება უკეთ გააცნობიერონ, თუ რა მოხდა, მათი როლი როგორი იყო, და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, ასევე, გაითვალისწინონ, თუ როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში. (Barbetta, Patricia, Norona, Kathleen Leong, Bicard, David, 2005)

თავი 12 - კვლევის მეთოდები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 112 მოსწავლემ და მასწავლებელმა, რომელთაგან 80 არის მოსწავლე, 32 მასწავლებელი. აქედან 40 მოსწავლე და 16 მასწავლებელი თბილისის ორი საჯარო სკოლიდან, ხოლო 40 მოსწავლე და 16 მასწავლებელი ზუგდიდის ორი საჯარო სკოლიდან.

კვლევის ობიექტი – დაწყებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს ბავშვთა ქცევა.

კვლევის საგანი - დაწყებითი კლასის მოსწავლეები.

კვლევის ინსტრუმენტი - დაწყებით კლასებში ყველაზე ხშირი ძალადობის ფორმების დასადგენად კვლევაში გამოყენებულ იქნა კითხვარი.

კლევის პროცედურა

I ეტაპი მოიცავს მოსწავლეებისთვის კითხვარის მიწოდებას. კითხვარის შესავსებად გამოყოფილია 15-20 წუთი. პირველი და მეორე კლასისს მოსწავლეებს კითხვარს კითხულობდა ტესტის ჩამტარებელი. მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები დებულებებს კითხულობდნენ დამოუკიდებლად.

2 ეტაპი მოიცავს მასწავლებლებისთვის კითხვარის მიწოდებას კითხვარის შესავსებად გამოყოფილია 15-20 წუთი.

თავი 13 - კვლევის შედეგების ანალიზი

როგორც უკვე ავღნიშნე გამოიკითხა 80 მოსწავლე. 40 თბილისისა და 40 ზუგდიდის სკოლებიდან. ჩამოთვლილი 22 ძალადობის ფორმიდან, მათ უნდა ეპასუხათ კი იმშემთხვევაში, თუ ისინი გამხდარან აღნიშნული ძალადობის ფორმის მსხვერპლი. უნდა ეპასუხათ არა, თუ ისინი არ გამხდარან. ეს ძალადობის ფორმები იყო:

1) სიტყვიერი შეურაცყოფა

2) გინება

3) წყევლა

4) ფიზიკურ ნაკლზე მითითება

5) დაცინვა

6) ოჯახის წევრის შეურაცყოფა

7) შენიშვნის მიცემა

8) რაიმეს წართმევა

9) პირადი ნივთის დაზიანება

10) პირადი ნივთის გადაგდება

11) რაიმეს ძალით ჩუქება

12) ხელის წამორტყმა

13) დარტყმა

14) მხრის გაკვრა

15) პანჩურის ამორტყმა

16) მხრის გაკვრა

17) ყურის აწევა

18) თმის მოქაჩვა

19) სახეში გარტყმა

20) ზურგში ჩარტყმა

21) ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა

22) სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა

ქ.თბილისისა და ქ.ზუგდიდის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

ძალადობის ფორმა	თბილისი	ზუგდიდი
სიტყვიერი შეურაცყოფა	29	27
გინება	8	8
წყევლა	2	7
ფიზიკურ ნაკლზე მითითება	26	20
ოჯახის წევრის შეურაცყოფა	10	7
დაცინვა	36	31
შენიშვნის მიცემა	22	15
რაიმეს წართმევა	25	19
ნივთის გადაგდება	30	23
ნივთის დაზიანება	28	20
ძალით ჩუქება	8	5
ხელის წამორტყმა	25	16

დარტყმა	16	12
მხრის გაკვრა	16	13
პანჩურის ამოკვრა	5	7
სახეში გარტყმა	6	8
ყურის აწევა	7	7
თმის მოქაჩვა	15	9
ზურგში ჩარტყმა	17	13
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	5	6
მუშტის დარტყმა	12	9
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	22	18

ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმა აღმოჩნდა:

1. დაცინვა- 67 (მოსწ)
2. სიტყვიერი შეურაცყოფა- 56 (მოსწ)
3. ნივთის გადაგდება- 53 (მოსწ)

ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ძალადობის ფორმა აღმოჩნდა

1. წყევლა- 9 (მოსწ)
2. ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა- 11 (მოსწ)
3. პანჩურის ამორტყმა- 12 (მოსწ)

გამოკითხული ძალადობის 22 ფორმიდან აღმოჩნდა, რომ ქ. თბილისის სკოლებში უფრო მეტია მათი გამოხატულება, ვიდრე ქ.ზუგდიდის სკოლებში.

22დან 16 ძალადობის ფორმა უფრო ხშირად გამოიყენება თბილისში:

1) ნივთების დაზიანება- თბილისი- 28 ზუგდიდი- 20
2) ფიზიკურ ნაკლზე მითითება- თბილისი-26 ზუგდიდი- 20

22დან მხოლოდ 4 ძალადობის ფორმა გამოიყენება უფრო ხშირად ზუგდიდში

1) წყევლა- ზუგდიდი- 7 თბილისი- 2

2) პანჩურის ამორტყმა- ზუგდიდი- 7 თბილისი- 2

3) სახეში გარტყმა- ზუგდიდი- 8 თბილისი- 6

4)ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა- ზუგდიდი- 6 თბილისი- 5

22 ძალადობის ფორმიდან მხოლოდ 2 აღმოჩნდა თანაბარი ზუგდიდისა და თბილისის სკოლებში:

1) გინება- თბილისი-8 ზუგდიდი-8
2) ყურის აწევა- თბილისი 7 ზუგდიდი- 7

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლე ბიჭებში ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმები იყო:

ძალადობის ფორმა	თბილისი	ზუგდიდი
სიტყვიერი შეურაცყოფა	20	18
გინება	8	8
წყევლა	1	3

ფიზიკურ ნაკლზე მითითება	19	12
ოჯახის წევრის შეურაცყოფა	8	6
დაცინვა	21	17
შენიშვნის მიცემა	16	9
რაიმეს წართმევა	14	12
ნივთის გადაგდება	16	13
ნივთის დაზიანება	25	16
ძალით ჩუქება	3	2
ხელის წამორტყმა	17	11
დარტყმა	16	12
მხრის გაკვრა	16	13
პანჩურის ამოკვრა	5	7
სახეში გარტყმა	6	8
ყურის აწევა	7	7
თმის მოქაჩვა	3	2
ზურგში ჩარტყმა	17	13
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	5	6
მუშტის დარტყმა	12	9
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	14	13

1) დაცინვა - 38
2) სიტყვიერი შეურაცყოფა - 36
3) ხელის წამორტყმა- 34
4) ფიზიკურ ნაკლზე მითითება- 31

გოგოებში ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმები იყო:

ძალადობის ფორმა	თბილისი	ზუგდიდი
სიტყვიერი შეურაცყოფა	20	18
გინება	0	0
წყევლა	1	3
ფიზიკურ ნაკლზე მითითება	7	8
ოჯახის წევრის შეურაცყოფა	2	1
დაცინვა	16	13
შენიშვნის მიცემა	7	5
რაიმეს წართმევა	10	8
ნივთის გადაგდება	13	11
ნივთის დაზიანება	5	3
ძალით ჩუქება	5	3
ხელის წამორტყმა	17	11
დარტყმა	0	0

მხრის გაკვრა	0	0
პანჩურის ამოკვრა	0	0
სახეში გარტყმა	0	0
ყურის აწევა	0	0
თმის მოქაჩვა	10	9
ზურგში ჩარტყმა	1	0
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	0	0
მუშტის დარტყმა	0	0
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	7	6

1) დაცინვა - 29

2) ნივთის გადაგდება- 24

3) თმის მოქაჩვა- 19

გინება, დარტყმა, მხრის გაკვრა, პანჩურის ამორტყმა, მუშტის დარტყმა, სახეში გარტყმა, ყურის აწევა, ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა- 0

უმეტეს შემთხვევაშ ძალადობის ფორმების გამოხატულება მაღალ კლასებში მატულობს

- გინება- I - 0 II- 1 III- 7 IV- 8
- დაცინვა- I - 12 II- 16 III- 719 IV- 20
- პანჩურის ამორტყმა- I - 0 II- 1 III- 4 IV- 7
- ყურის აწევა- I - 2 II- 3 III- 4 IV- 5
- მუშტის დარტყმა- I - 0 II- 2 III- 8 IV- 11

გამოკითული მასწავლებლებისთვის ბავშვებს შორის ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმებია:

ძალადობის ფორმა	თბილისი	ზუგდიდი
სიტყვიერი შეურაცყოფა	16	12
გინება	2	1
წყევლა	0	0
ფიზიკურ ნაკლზე მითითება	2	0
ოჯახის წევრის შეურაცყოფა	2	0
დაცინვა	17	15
შენიშვნის მიცემა	7	10

რაიმეს წართმევა	6	7
ნივთის გადაგდება	9	6
ნივთის დაზიანება	10	12
ძალით ჩუქება	0	0
ხელის წამორტყმა	7	11
დარტყმა	5	4
მხრის გაკვრა	1	6
პანჩურის ამოკვრა	0	0
სახეში გარტყმა	1	0
ყურის აწევა	2	1
თმის მოქაჩვა	7	5
ზურგში ჩარტყმა	7	6
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	0	0
მუშტის დარტყმა	4	3
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	7	8

- დაცინვა- 32 (მოსწ)
- სიტყვიერი შეურაცყოფა- 28 (მოსწ)
- ნივთის დაზიანება- 22 (მოსწ)

გამოკითხული მასწავლებლების მიხედვით ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა წყევლა, პანჩურის ამორტყმა, ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა და ნივთების ძალით ჩუქება, მოსწავლეებში არ ფიქსირდება.

თავი 14 - დასკვნა

სამწუხაროდ , ძალადობა ყველა ქვეყანასა და საზოგადოების ყველა ფენაში ხდება. თუმცა, ძალიან ხშირად, ბავშვთა მიმართ ძალადობა შეუმჩნეველია, რადგან ბავშვები ვერ ახერხებენ ამის სრულფასოვნად ჩამოყალიბებასა და გაცნობიერებას.

ძალადობა წარმოშობს ძალადობას. როდესაც ბავშვი ძალადობის მსხვერპლია, ის შემდგომში თავად ხდება მოძალადე სხვის მიმართ. ის პრობლემების გადაჭრას ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს. ამიტომაც საზოგადოებაში სჭარბობს ძალადობა და აგრესია. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ასევე დიდი რისკის წინაშე არიან, რომ ვერ შეძლონ ნორმალური განვითარება და თავისი პოტენციალის რეალიზება.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვები განიცდიან აგრესიას, ემოციურ აფექტებს, რომელიც ხშირად მათზე უფრო სუსტ ბავშვებზე ან ცხოველებზე გადააქვთ. მათი აგრესიულობა ყოველგვარი მიზეზის გარეშე ვლინდება თამაშის დროს. ზოგიერთი მათგანი, პირიქით, განსაკუთრებულ პასიურობას ავლენს. ორივე შემთხვევაში დარღვეულია თანატოლებთან კონტაქტი და ურთიერთობა. ბავშვები ცდილობენ ნებისმიერი გზით მიიპყრონ ყურადღება, რის გამოც ისინი ხშირად გამომწვევად და აგრესიულად იქცევიან.

გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები

1) დაწყებითი კლასების მოსწავლე ბიჭები უფრო მეტად არიან ძალადობის მსხვერპლი ვიდრე გოგოები
2) ძალადობის ფორმების გამოხატულება მატულობს კლასის მატებასთან ერთად

3) თბილისის სკოლებში უფრო ხშირია ძალადობის ფორმების გამოვლინება ვიდრე ზუგდიდის სკოლებში
4) მასწავლებლებს გარკვეულ ძალადობის ფორმების შესახებ მცდარი შეხედულება აქვთ
5) პირველი კლასის მასწავლებლები თვლიან, რომ მათ კლასში უფრო ნაკლებას ხდება ბავშვებს შორის ძალადობის ფორმების გამოვლინება, ვიდრე მეოთხე კლასის მასწავლებლები

ძალადობრივ ქცევას შეიძლება ჰქონდეს უამრავი სხვადასხვა მიზეზი. პირველ რიგში ბავშივს ქცევაზე გავლენას ახდენს ოჯახი, მშობლები. დასწავლის თეორიის თანახმად ბავშვის ქცევა დაისწავლება მოდელზე დაკვირვებით. მისი აქტუალური მოდელი კი ოჯახის წევრები და მშობლებია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მშობლებსაც უჭირთ საკუთარი ემოციების მართვა, აქედან გამომდინარე არ უნდა გაგვიკვირდეს სკოლებში ბავშვთა აგრესიული ქცევების გამოვლენა. რაც შეეხება ფონს, რაც ქმნის ჩვენს ქვეყანაში მაფუსტრირებელ გარემოს შეიძლება იყოს ქვეყნის მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ოჯახების უმრავლესობაზე ნეგატიურად აისახება. უნდა ავღნიშნოთ რომ ეს ბავშვები არიან სწორედ იმ მშობლების შვილები, რომლებაც გადაიტანეს თბილისი ომი, 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომი, რამაც რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა მათ ფსიქიკაზე. სამწუხაროდ საქართველოში ნაკლებია სამუშაო ადგილები და მშობლები არიან დაუსაქმებელი, ან არიან ძალიან გადატვურტული სამუშაოს გრაფიკის ქვეშ, რომლებისთვისაც შფოთვის და დაძაბულობის დონე ძალიან მაღალია. არ არის გასაკვირი, რომ ესეთი სოციალური მდგომარეობის ქვეშ მშობელის უჭირთ საკუთარი ემოციების რეგულაცია და აგრესიულ ქმედებებს გამოხატავენ მეუღლის თუ შვილების მიმართ.

კიდევე ერთი განამაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს მშობლის არასწორი აღზრდის სტილი, რომელიც ხასიათდება ბავშვის დასჯის და მის მიმართ სითბოს

გამოხატვის ნაკლებობით, უგულვებელყოფით ან მიშვებულობით, ასეთ ბავშვები თავად შეიძლება გახდნენ მოძალადეები, აქვთ ბრაზის მართვის სირთლეები. ასევე კომუნიკაციური უნარების ნაკლებობა. ნაკლებად აქვთ ემპათია და უჭირთ სხვა ადამიანის ემოციების გაგება, აქედან გამომდინარე მიმართავენ ასოციალურ ქცევებს.

უმნიშვენლოვანესი ფაქტორია მშობლის და განათლება და ცოდნა ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ და ბავშვთან სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბების შესახებ. აუცილებებლია მშობელმა იცოდეს როგორ მართოს საკუთარი შვილის აგრესიული, დაუმორჩილებელი ქცევა, არ იყოს მისი მხრიდან მანიპულაციის მსხვერპლი და იმოქმედოს სწორი მთოდების გამოყენებით, რაც გულისხმობს არასასურველი ქცევის დაიგნორებას და სასურველი ქცევის განმტკიცებას. (Baumrind, 1960)

ჩემს კვლევაში აღნიშნული შედეგების ახსნა შეიძლება მოხდეს ბავშვის პიაჟესეული კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვითაც, ოპერაციამდელ სტადიაზე მყოფი ბავშვს არ შეუძლია ვერბალურად დამაჯერებლად, არგუმენტირებულად დაასაბუთოს თავის აგრესიული ქცევის მიზეზები. აქედან გამოომდინარე ის ძირითადად ორიენტირებული სიტუაცია მოაგვაროს მიუღებელი ქცევის ფრომებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავში იმპულსურია და ნებელობითი ქცევა ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული, ამიტომ უჭირს გააკონტროლოს ისეთი ძლიერი ემოციები, როგორიცაა ბრაზი, იმედგაცრუება, წყენა. (Piaget, 1936)

აღსანიშნავლია ქცევის მართვაში მასწავლებელის ქცევა და საკლასო პროცესის სწორი დაგეგმვა. უმრავლეს შემთხვევაში კასლებში არ არის შემუშავებული ქცევის წესები და არ არსებოს საკლასო რუტინა. არსეობობის შემთხვევაში კი ხშირად არ ხდება მისი მონიტორინგი და შესრულება. ეს მდგომარეობა წესების არსებობას მნიშვნელობას უკარგავს, რაც კიდევცუფრო ზრდის ბაშვის უკონტროლო და დაუმორჩილებელი ქცევის გამოვლენის ალბათობას. მნისვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებელებმა არ იციან ბავშვის განვითარების თავისებურებები, არც შესაბამისი

ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მიდგომები, სამწუხაროდ უნებლიედ ხდება ბავშვის არასასურველი ქცევის წახალისება და გამტკიცება.

კლასის მატებასთან ერთად ძლადობის გამოვლენის მატება შეიძლება აიხსანას იმით რომ ხშირად ბავშვის ქცევას არ ექცევა ყურადღება, არ ხდება მისი აღკვეთა, კორექცია და ამის გამო უფრო მძაფრდება.

თავი 15 - ზოგადი რეკომენდაციები:

- საგნის მასწავლებლებმა შეიმუშავეთ და განახორციელეთ ბავშვის უნარებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები თქვენს საგნებში, რათა მოხდეს მოსწავლის აქტიური ჩართვა კლასში.
- ხშირად ჩართეთ საკლასო აქტივობებში და შეაქეთ, როდესაც დაასრულებს დავალებას და აღნიშნეთ კალსის წინ რომ მან შეასრულა ინსტრუქცია და გააკეთა მიცემული დავალება.
- კალსის დამრიგებელმა შეიმუშავეთ საკლასო წესები და განათვსესთ ის თვალშისაცემ ადგილას, თავად ბავშვებს დაასახელებინეთ და ჩამოაწერინეთ საკლასო წესები და გადაიტანეთ ის ფორმატზე. წესები უნდა იყოს მკაფიო, უნდა იყოს მოკლე, და პოზიტიურად ფორმულირებული, დახამარეთ ვიზუალური მასალაც

  მაგალითისთვის

  1. როდესაც მასწავლებელი ან მოსწავლე ლამაპარაკობს ვუსმენ
  2. როდესაც რამის თქმა მინდა, ვიწევ ხელს.
  3. პატივს ვცემთ ერთმანეთს(თავდაპირველა გაუშიფრეთ რას ნიშნავს ეს ფრაზა)
  4. ვასრულებს დავალებას
  5. მერხზე მიდევს საჭირო წიგნები და ნივთები

     წესების რაოდენობა მაქსიმუმ 6.

- უზრუნველყავით ამ წესების დაცვა, კერძოდ წესების გვედით ჩამოწერეთ თითოეული მოსწავლის სახელი და გვარი, დღის ბოლოს სახელის გასწვრივ მიუკარით სმაილი მას, ვინც დაიცავს ამ წესებს მთელი დღის განმავლობაში, ვინც დაიცავს წესებს და დააგროვებს 20 სმაილს, თვის ბოლოს დააჯილდოვეთ სიგელით „ გამარჯვებული წესების დაცვაში“

- შეიმუშავეთ საკლსო რუტინა, რათა ბავშვებისთვის სასკოლო ცხოვრება იყოს სტაბილური, უცვლელი. მათ უნდა იცოდნენ სასწავლო პრცოესების თანმიმდევრობა.
- დამრიგებელმა ჩაატარეთ თამაშები, რომლებიც ხელს უწყობს კლასელებს შორის კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესებას და მეგობრული გარემოს შექმნას.
- ნუ მოიხსენიებთ მოსწავლეს ისეთი ფრაზებით როგროიცაა „ესეთია, გამიგიჟა ბავშვები“ აგრესიულია, საერთდ ვერ ვაკონტროლებ“ ესეთი ფრაზები ბავშვის კლასიდან გარიყვას და დამნაშავედ გამოცხადებას უწყობს ხელს.

- ნუ მოიგონებთ და გაახსენებთ ან მოუყვებით სხვებს მოსწავლის წესების დარღვევის ეპიზოდებს, ეს ხელს შეუწყობს იმას რომ ყურადრების ცენტრში იგრძნოს თავი, არასასურველი ქცევის გამოვლენის ხარჯზე, აჩვენეთ დაგროვილი სმაილები საკუთარი სახელის გასწვრივ.

- ხუმრობად ნუ მოყვებით მოსწავლის არასასურველ ქცევას, წესების დარღევის რომელიმე შემთხვევას, ნუ გაიცინებთ ასეთ შემთვევაში, იგნორირება გაუკეთეთ ამ ეპიზოდს და შეაქეთ მაშინ როდესაც დაიცავს წესებს.

- შენიშვნა მიეცით ინდივიდუალურად

- როდესაც არ იცავს წესებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას, არ აღნიშნოთ სიტყვიერად , მუ მიუახლობდებით ან ნუ გასცემთ პასუხს დააიგნორეთ,

რეკომენდაციები მშობელს

- აჩვენეთ რომ გესმით მისი ემოცია. მაგალითად უთხარით რომ: „მესმის რომ ეხლა გაბრაზებული ხარ, მაგრამ ეხლა ქართული უნდა ვიმეცადინოთ“ „მესმის რომ იმედი გაგიცრუვდა“ ეს ფრაზა ბავშვს აგრძობინებს იმას რომ თქვენ მის ემოციას იგებთ და იზიარებთ. ხშირად უთახრით რომ გესმით მისი წყენა, ბრაზი, იმედგაცრუება, სიხარული

და ა.შ. ნებისმიერი ემოცია, ემპათია აჩვენებს მას რომ ირგვლივ მყოფებს მისი ისედაც ესემით და არ არის საჭირო " დაყვირება".

- გააკონტროლეთ საკუთარი ემოციები როდესაც გაბრაზებული ხართ და ნუ გამოხატავთ მას ყვირილით, ჩხუბით, თმის მოქაჩვით, ამის მაგივრად შეგიძლიათ დატოვოთ ოთახი და აიღოთ ე.წ. time-out. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ბავშვები სწავლობენ სხვაზე დაკვირვებით, და მშობლის მოდელირებული ქცევა მათ ქცევაზე დიდ გავლენს ახდენს. ამიტომ ნუ აჩვენებთ ბარზის და ნეგატიური ემოციების მიუღებელი ფორმით გამოხატვას, რათა არ მოხდეს ბავშვის მიერ ამ ქცევის დასწავლა და განმტკიცება.

- ბავშვთან საუბრისას ყოველთვის აღნიშნეთ, რომ ძალადობით არ შეიძლება პრობლემების მოგვარება.

Bibliography

Bandura. (1971). *Social Learning Theory.*

Barbetta, Patricia, Norona, Kathleen Leong, Bicard, David. (2005). Preventing School Failure.

Baumrind, D. (1960). *Parenting Style & Theory.*

Drew, N. (1995). *CREATING A PEACEFUL CLASSROOM.*

Drew, N. (1995). *Learning the Skills of Peacemaking.*

Drew, N. (2002). *Peace Building.*

Drew, N. (2002). *The Peaceful Classrom in Action.*

Heitler, S. (2012). *psychologytoday.com*. Retrieved from https://www.psychologytoday.com/us/blog/resolution-not-conflict/201211/what-makes-conflict-how-are-conflicts-resolved

Kutner, L. (2016). *Aggressive Children.*

McVean, C. (1995). Peace in the schoolyard: conflict resolution in the classroom. *Peace Magazine*.

Piaget, J. (1936). *Cognitive development.* Retrieved from https://www.simplypsychology.org/piaget.html

Stopbullying. (2017). *Stopbullying*. Retrieved from https://www.stopbullying.gov/what-is-bullying/index.html

Unicef. (2007). *unicef.ge*. Retrieved from unicef.ge/

დადიანი, თ. (2017). კონფლიქტები სასკოლო სივრცეში. *თბილისის უნივერსიტეტი.*

დენი, დ. (2011). შუამავლობა კონფლიქტურ სიტუაციაში. In ე. თავართქილაძე, *ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხავები* (pp. 122-123).

თავართქილაძე, ე. (2011). *ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხავები.*

ომბუდსმენი. (2016-2017). *ombudsmen.ge*. Retrieved from ombudsman.ge/ge/projects/ganxorcielebuli-proeqtebi/saxalxo-damcvelis-aparatis-bavshvis-uflebebis-centris-gadzliereba-zogadsaganmanatleblo-dawesebulebebis-monitoringi-bavshvta-mimart-dzaladobis-kutxit.page

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lika Margania

Forms of violence in elementary class students

Conflicts Analysis and Management

The thesis is submitted for obtaining the Master of Arts in Conflicts

Supervisor: Professor Revaz Jorbenadze

Tbilisi, 2018

დანართი

ინსტრუქცია:ქვემოთ ჩამოწერილია წინადადებები, გთხოვ ყურდღებით მოისმინო აღნიშნული წინადადებები და იმ შემთხვევაში თუ თანაკლასელის მხრიდან შენს მიმართ ყოფილა მსგავსი შემთხვევა შემოხაზე -კი, თუ არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა შემოხაზე-არა

ძალადობის ფორმა	თანაკლასელის მხრიდან
სიტყვიერი შეურაცხყოფა	• კი • არა
გინება	• კი • არა
წყევლა	• კი • არა
ფიზიკურ ნაკლზე მითითება	• კი • არა
სხვების თნდასწრებით შეურაცხყოფის მიყენება	• კი • არა
ოჯახის წევრების შეურაცხყოფა	• კი • არა
დაცინვა	• კი • არა
შენიშვნის მიცემა	• კი • არა
რაიმეს წართმევა	• კი • არა
რაიმეს გადაგდება/დახევა	• კი

	• არა
რაიმე ნივთის დაგლეჯა	• კი • არა
რაიმე ნივთის გაფუჭება	• კი • არა
რაიმეს დამტვრევა	• კი • არა
ძალით ჩუქება	• კი • არა
ხელის წამოკვრა	• კი • არა
დარტყმა	• კი • არა
მხრის გაკვრა ფეხის ჩარტყმა	• კი • არა
პანღურის ამოკვრა	• კი • არა
სახეშო გარტყმა	• კი • არა
ყურის აწევა	• კი • არა
თმის მოქაჩვა	• კი • არა
ზურგში ჩარტყმა	• კი • არა
ტუჩებში გალაწუნება	• კი • არა
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	• კი • არა

მუშტის დარტყმა სახეში/მუცელში	• კი • არა
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	• კი • არა

ინსტრუქცია: ქვემოთ ჩამოწერილია წინადადებები, გთხოვ ყურდღებით მოისმინოთ აღნიშნული წინადადებები და იმ შემთხვევაში თუ გინახავთ მსგავსი შემთხვევა თანაკლასელებს შორის შემოხაზეთ-კი, თუ არ გინახავთ შემოხაზეთ -არა

ძალადობის ფორმა	თანაკლასელიებს შორის
სიტყვიერი შეურაცხყოფა	• კი • არა
გინება	• კი • არა
წყევლა	• კი • არა
ფიზიკურ ნაკლზე მითითება	• კი • არა
სხვების თნდასწრებით შეურაცხყოფის მიყენება	• კი • არა
ოჯახის წევრების შეურაცხყოფა	• კი • არა
დაცინვა	• კი • არა
შენიშვნის მიცემა	• კი

	• არა
რაიმეს წართმევა	• კი • არა
რაიმეს გადაგდება/დახევა	• კი • არა
რაიმე ნივთის დაგლეჯა	• კი • არა
რაიმე ნივთის გაფუჭება	• კი • არა
რაიმეს დამტვრევა	• კი • არა
ძალით ჩუქება	• კი • არა
ხელის წამოკვრა	• კი • არა
დარტყმა	• კი • არა
მხრის გაკვრა ფეხის ჩარტყმა	• კი • არა
პანღურის ამოკვრა	• კი • არა
სახეშო გარტყმა	• კი • არა
ყურის აწევა	• კი • არა
თმის მოქაჩვა	• კი • არა
ზურგში ჩარტყმა	• კი • არა
ტუჩებში გალაწუნება	• კი

	• არა
ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმა	• კი • არა
მუშტის დარტყმა სახეში/მუცელში	• კი • არა
სხეულზე რაიმე ბინძურის წასმა	• კი • არა